№ 61 მარტი 23, სამშაბათი 1893 მარტი 23, სამშაბათი № 61

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1893 1877—1893

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, გუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

„ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ტფილისი, 20 მარტი

უკეთესი იარაღი საზოგადოების წარმატებისა არის გულ-ახდილი და საჯარო შეფარდება სხვა-და-სხვა აზრთა და მიმართულებათა. აზრთა შეფარდებასა და შეთანსწორებას ყოველთვის მოსდევს ის შედეგი, რომ მათში უმჯობესი აზრი, ადრე იქმნება თუ გვიან, დასძლევს მდარე აზრს, ცუდს მიმართულებას, და საზოგადოება ცნობიერად, თვალ-ხილულად დაადგება იმ გზას, რომელსაც აჩვენებს იგი აზრი. მაგრამ ვიდრე ერთი აზრი დასძლევდეს მეორეს და მართალი დაიჭერდეს მკვიდრ ადგილს საზოგადოების გულსა და გონებაში, საჭიროა წინამორბედი და ხშირად ხანგრძლივი ბრძოლა ერთის აზრის წარმომადგენელთა მეორის მომხრეებთან. ამ ბრძოლასა ჰბადებს პარტიობა. განვითარებულსა და გამოცდილ, ნაჭირნახულევ საზოგადოებაში ყოველი პარტია ემხრობა თავის აზრის უკეთესს წარმომადგენელს, კაცს, რომელსაც უნაკლულოდ ესმის ძალა და მნიშვნელობა ამ აზრისა, თანაც შესწევს უტყუარი ღონე როგორც ჭკუისა, აგრეთვე სიტყვიერებისა თუ წერისა, რომ ბრძოლის დროს შესაფერად დაუხვდეს მოწინააღმდეგეს და ღირსეულად ატაროს ბაირაღი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ამისთანა კაცი მეთაურია პარტიისა, იგი სულს უდგამს პარტიას და თვითონაც სულს იდგამს თანამოაზრეთა მომხრეობით. რა-კი ყოველი პარტია უკეთეს კაცს ირჩევს თავის მეთაურად, ამიტომ თვით ბრძოლასაც ეძლევა ლაზათი, მართებულობა და რიგიანობა. უკეთესი მეთაურიც ის არის, ვინც ბრძოლის დროს გამოიჩენს იმოდენა ძალას სულისას და იმოდენა პატიოსნებას გულისას, რომ არ შელახოს მოწინააღმდეგის ადამიანური ღირსება, არ იკადროს ცილის წამება და ამით არ დასცეს ძირს თავისი ღირსება და არ შელახოს თვით ის ბაირაღი, რომლისთვისაც წაუვლია ხელი, როგორც მეთაურს პარტიისას. ვინც გამარჯვების გულისთვის იკადრებს საძრახისს მოქმედებას და მეტადრე მიჰმართავს ისეთს საზიზღარს იარაღს, როგორიც არის დამამდაბლებელი და გამხრწნელი ცილის წამება, იგი არა თუ მეთაურობას არ უნდა ეპოტინებოდეს, მას მეორეობასაც არვინ მიანდობს და თვით რომელისამე პარტიის წრეში ხომ მტკიცე ადგილს თავის დღეში ვერ დაიჭერს. მეთაური უნდა იყოს მხოლოდ ცოცხალი წარმომადგენელი განყენებულის და მიუფერებელის აზრისა, უნდა იყოს უჩირქო, სუფთა და განწმედილი ჭურჭელი აზრისა, რომელსაც კავშირი არ უნდა ჰქონდეს არავითარს მზაკვარებასთან. იგი უნდა იყოს ძრიელი მხოლოდ აზრით და ძრიელ მოშორებით უნდა უდგეს ინტრიგებს.

ასეთი ხასიათი მიიღო დაწინაურებულ ქვეყნებში პარტიათა ბრძოლამ, რომელიც შეიქმნა აზრთა ბრძოლად, რის გამოც იქ ვერც ერთი ზნეობით მანკიერი და მახინჯი ხელის ხლებასაც ვერ შეჰბედავს პარტიის ბაირაღისას, თუ არ უნდა, რომ მცირე ხანში დაჰკარგოს ყოველი პატივის-ცემა მომხრეებისა და სამუდამოდ გამოესალმოს სამოქალაქო მოღვაწეობას.

ჩვენში სულ რაღაც ოცი წელიწადია, რაც გამოგვიჩნდა თითო-ოროლა საგანი საზოგადო მოღვაწეობისა, დაიბადა მცირეოდენი ასპარეზი საქვეყნო და სამოქალაქო სამსახურისა. ამ მოკლე ხანში, რა საკვირველია, ვერ შევითვისებდით სათანადო იარაღს გამორკვეულის აზრის გავრცელებისას საზოგადოებაში. ბევრჯელ ჩვენებურ „პარტიას“ არავითარი გამორკვეული აზრი, არავითარი საქვეყნო აზრი არ მოეძებნება: იგი მხოლოდ ბავშვივით „პარტიობასა“ თამაშობს ან დროების გასატარებლად, ან კიდევ, რაც უფრო საძრახისია, საკუთარის კუჭის ჩხავილის დასაამებლად. როდესაც პარტიას არ ასულდგმულებს ცხოველს - მყოფელი და ფრთების შემსხმელი აზრი, უმაღლესი პრინციპი ქვეყნის კეთილდღეობისა, ამისთანა „პარტია“, რა თქმა უნდა, ვერც ამაღლდება იქამდე, რომ მიჰმართოს პატიოსნურს გზას პატიოსნურის ბრძოლისას მოწინააღმდეგესთან. ასეთი „პარტია“ მზაა ჩააქვაოს მოწინააღმდეგე, გინდაც დარწმუნებული იყოს, რომ ეს მოწინააღმდეგე იოტის ოდნადაც არა ჰღალატობს სინიდისს, რიგიანობას, მართებულობას და ნამუსიანს სამსახურს ქვეყნისას, რომ პირიქით, ეს მოწინააღმდეგე საქებურის თავგამოდებით ემსახურება და შესტრფის ქვეყნის წარმატებას, მის სიკეთეს.

საუბედუროდ, ჩვენში ხშირად შეჰხვდებით ასეთს „პარტიობას“, რაიცა ულმობელად და უტყუარად ჰმოწმობს ჩვენს დავრდომილობას. ასეთს გარემოებაში ძალიან დიდი სიბრთხილე ჰმართებს სუბთა და უჭუჭყო ზნეობის კაცს, როდესაც იგი გაიხმობს თავისს სინიდისს და შეეკითხება, რომელ პარტიას უნდა მისცეს მხარი, რის გაძლიერებას უნდა შეეშველოს და რის დათრგუნვას უნდა მოახმაროს ყოველი თავისი ძალა. თუ ასეთი სიბრთხილე სავალდებულოა კერძო კაცისთვის, იგი ერთი-ათად მოეთხოვება გაზეთს საზოგადოდ და მის მუშაკს კერძოდ.

ჩვენის წერილებიდგან მკითხველი დაინახავდა, რომ თუმცა ბევრი თვალ-საჩინო ღირსებანი აღვნიშნეთ ქალაქის გამგეობის მოქმედებაში უკანასკნელ ამორჩევებამდე, მაგრამ ჩვენ არ ვამართლებთ ეხლანდელ გამგეობის ძველ წარმომადგენლებს, რადგანაც ამათ, დაინახეს თუ არა ახალი ხმოსნები, ელდა ეცათ, გულები დაუსკდათ, აერიათ დავთრები, გადუხვიეს სასარგებლო გზას საზოგადო მოღვაწეობისას და ისეთს მორევში ამოჰყვეს თავი, საიდგანაც ძნელია გამოსვლა მშრალზე. ჩვენი წერილები ძალიან იუცხოვეს ზოგიერთებმა: „ივერიამ“ ქება დაუწყო გამგეობას, „იმათი“ მომხრეაო, და სხვა ამისთანა ლათაიები.

ჩვენა ვფიქრობთ და მტკიცედაცა გვწამს ჩვენი სიმართლე, რომ ყოველი პატიოსანი კაცი და მეტადრე გაზეთი მოვალეა მიუფერებელი და მართალი აზრი წარმოსთქვას თავის მომხრეზედაც და მოწინააღმდეგეზედაც. ტყუილი არსად არ გამოდგება და არც საკადრისია. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს მეტადრე საზოგადო საქმის განსჯაში. ამის გამო ჩვენ ვაქებთ იმას, რაც ჩვენის ფიქრით საქებია, დ̃ ვაძაგებთ მხოლოდ იმას, რაც საძაგებელი და საზარალოა ცხოვრებისათვის,რადგან მხოლოდ ასეთს მოქმედებაშია ნამდვილი და უტყუარი გზა წარმატებისა.

რომ უფრო ნათლად გამოვთქვათ ჩვენი აზრი შესახებ ა. ს. მატინოვის მოურავობისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი დრო მის მიერ ქალაქის საქმეთა გამგეობისა ათვალწუნებული იყო ეგრედ-წოდებულ „ასკასერებისაგან“, რომელნიც თავის ადამიანურ ღირსებას მხოლოდ იმაში ჰხედავენ, რომ ჩაჰყულაპონ ყველანი, ვინც კი მათს გვარსა და ტომს არ ეკუთვნის, და მზანი არიან ცარიელზედ დასვან მთელი ქვეყანა, ხელი რომ მიუწვდებოდეთ. ესენი საშინლად გადამტერებულნი იყვნენ გამგეობაზედ, რადგან მისნი წარმომადგენელნი უფრო განვითარებულს წრეს ეკუთვნოდნენ და ქალაქს ისე ემსახურებოდნენ, როგორც ქალა-

ფელეტონი

საკუთარი რამე-რუმე

(წერილი გურიიდამ)

მართალია მკითხველთან საუბარი დავაგვიანე, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ამის საპატივ-დებო და შესაწყნარებელი მიზეზი არა მქონდეს. განა მიზეზად არა კმარა, რომ აგერ რავდენმამე თთვემ ზედი-ზედ გაიარა და ჩვენში-კი არაფერი თვალსაჩინო ავაზაკობა არა მომხდარა-რა, თუ, რასაკვირველია, ანგარიშში არ ჩავაგდებთ ზოგიერთ სოფლებში ბახუსის გაღმერთების გამო მომხდარს ხანჯლითა და კეტებით ვარჯიშობას. სხვებისა რა მოგახსენოთ და მე-კი იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენმა ფირალებმა რაღაც სასწაულის ძალით „ვიჯმნი ეშმაკისაგან“ სთქვეს, სატანა განაგდეს და ავაზაკობაზე ხელი აიღეს. კარგია ეს რომ ისე იქნებოდეს, მაგრამ ის-კი აღარ არის კარგი, რომ ამის გამო გურულ კორესპონდენტებს საწერი მასალა შემოგვაკლდება და გურულ მაპეზლართ დასაბეზღებელი და სამიედ-მოედო ამბავი აღარაფერი დაურჩებათ. ასე თუ ისე, კორესპონდენტთა უსაქმობამაც თქვენი ჭირი წაიღოს და მაბეზღართა რიყეზე დარჩენამაც, თუ-კი ქვეყანა მოსვენებული იქნება და უსაქმოთა წყალობით საქმისა და შრომის კაცები თავის საქმეს არ მოსცდებიან.

— ყველა ყველაო, მეტყვის გაოცებული მკითხველი, მაგრამ ეგ რა ღვთის წყრომაა, რომ შენ, თუ არ ავაზაკობის შესახებ, სხვაზე ვერაფერზე მოგიხერხებია წერა და ლაპარაკი, ნუ თუ ისე გამოფიტულია თქვენი ცხოვრება, ისე დაწვრილმანებულია თქვენის ცხოვრების საგანი, ისე დაქვეითებულია საზოგადო მისწრაფებანი, ისე დაცემულია გონება ერისა, რომ ველარაფერი გიშოვია ხელმოსაჭიდი და თვალ-მოსავლები? რალა გეშველება, ხომ დამუნჯდი, რომ მართლა ფირალობა მოისპოს და ავაზაკობამ ბარგი აიკრას მაგ თქვენის მხრიდამაო!

რაც მართალია, ხომ მართალია და სიმართლის წინააღმდეგ აბა რაღა გეთქმის! სწორედ ამაებზედ ვფიქრობდი მეც, როცა ამ ეპისტოლის წერას შევუდექი და წარმოიდგინეთ ჩემი უნარი და მიხვედრილება, რომ წავაწყდი სასურველს საგანს, რის გამოც საჭიროა ხმის ამოღება და ორიოდ სიტყვის დახარჯვა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენში პირველ-დასაწყისი სკოლა მრავალია და, მაშასადამე, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიც დღე-დღეზე მატულობს. მაგრამ გამოცდილებით ვიცით, რომ სკოლიდამ გამოსულს ახალგაზდას ხშირად დავიწყებია სკოლაში შეძენილი ცოდნა და თუ არ დავიწყებია, უმეტეს შემთხვევაში უკულმართად მოუხმარია. აქედამ ცხადად სჩანს, რომ მარტო წერა-კითხვა არაფერი ბედანაა, თუ წერა-კითხვის მცოდნეს, გარდა ქვენა ანგარიშებისა, უფრო უწმინდესი, უფრო აღმაფრენი რამ აზრი არ ასულდგმულებს, თუ გონებრივად და ზნეობრივად განვითარება აკლია, თუ ცხოვრებაზე მართალი შეხედულება არა აქვს, თუ საზოგადო და საწალმართო მისწრაფებანი ფეხებზე ჰკიდია და სხვა. ერთის სიტყვით წერა-კითხვის მცოდნეთა გამრავლება იმ ყოვლის შემძლებელს ჩარხს ქვეყნისას, რომელსაც პროგრესი ეწოდება, წალმა ვერ დაატრიალებს, თუ წერა-კითხვასთან ერთად შესისხლ-ხორცებული არა აქვს მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე.

რა თქმა უნდა, ჩვენი სკოლები ყოველსავე ამას, ძალიან გულითაც რომ უნდოდეს, ვერ მოახერხებს. აშკარა საქმეა, სკოლას იქით უნდა გაგვაჩნდეს ისეთი რამ, რომელმაც ჩვენ მოზარდ თაობის ნორჩი გონება წრთვნას და ავარჯიშოს იმდენად, რომ ადვილად შეეძლოს მტრისა და მოყვრისა, ავისა და კარგის გარჩევა...

ამა მოთხოვნილების ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოდ სახალხო წიგნთ-საცავი, უკეთუ ის არა მარტო სახელად არსებობს, არამედ საქმითაც, უკეთუ იმის გამგეთა და ხელმძღვანელთ ნათლადა აქვთ შეგნებული დანიშნულება ამ დიდ-მნიშვნელოვანის დაწესებულებისა.

ჩვენდა სასიხარულოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფ. აკეთს ამ დღეებში გაჩაღდება და მოქმედებას დაიწყებს „გურიის სახალხო წიგნთ საცავი“, რომლის დაარსებაც ითავა ჩვენის საერო სკოლების ოსტატთა საუკეთესო ნაწილმა. რაკი ეს ასე მოხდა, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხსენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქის შვილნი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოქმედება არ ეთანხმებოდა ზემო ხსენებულ „პარტიის“ დროშას. ნუ თუ სიმართლე არ მოითხოვს, რომ ასეთი მოქმედება ა. მარტინოვისა და მის თანამოღვაწეთა აღნიშნოს გაზეთმა. მაგრამ ასეთივე სიმართლე მოითხოვს, რომ იმავ გაზეთმა გაამტყუნოს მოქმედება, რომელმაც ეს გამგეობა დააყენა აღნიშნულ „პარტიის“ დროშას ქვეშ. ჩვენ მთელის ჩვენის მცირე ღონით ვამტყუნებთ ასეთს მოქმედებას, რომელიც, როგორც შემდეგში დავინახავთ, არავისთვის სასარგებლო არ არის და საზარალოა ყველასთვის, მეტადრე თვით გვარტომობის მედროშეთათვის.

მოქალაქე

◆

ახალი ამბავი

⁂ 19 მარტს დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძის კავკასიის მსროლელთა ბატალიონს მოუვიდა საჩუქრად სურათი დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა. ბატალიონის უფროსმა პოლკოვნიკმა ლევეტსონმა დიდს მთავარს დეპეშა გაუგზავნა და სურათის გამოგზავნისთვის მადლობა მოახსენა; დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ თავის მხრივ შემდეგი დეპეშა გამოგზავნა:

„დიდად მიხარიან, თუ ჩემის საჩუქარის მიღება ჩემს სახელოვანს ბატალიონს ესიამოვნა. გმადლობთ დეპეშისთვის და „მრავალ-ჟამიერ“!.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა, 20 მარტიდგან აღდგომამდე ყველა გასართობ ადგილებში აკრძალულ იქმნას ყოველ გვარი მუსიკა.

⁂ ოფიციალურ ცნობებით, 15 თებერვლიდგან 15 მარტამდე ტფილისში ავად გამხდარა: ხუნაგით 11 კაცი, ქუნთრუშით 14, ყვავილით 1, შავი სახადით 1. იმავე დროს განმავლობაში გარდაიცვალა: ხუნაგით 2 და ქუნთრუშით 6.

⁂ 21 მარტს, დილის $11\frac{1}{2}$ საათზედ, გაიმართა საზოგადო კრება ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა. წარსულ წლის ანგარიში ერთხმად იქმნა დამტკიცებული. საბჭოს წევრად კვლავ ამორჩეულ იქმნა ა. პ. ტერ-აკოფოვი, რომელსაც წელს ვადა გაუთავდა. სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ა. რ. დოლუხანოვი, ვ. გ. კანდურალოვი და ბ-ნი ნაზაროვი (ბუხგალტერი ქალაქ-ს გამგეობისა) წარსულ წლის დივიდენტი 10 მანათი და 12 კაპეიკი აღმოჩნდა. ამ დივიდენტიდგან 1 მ. 40 კაპ. სათადარიგო თანხას მიემატება და დანარჩენი 8 მან. 72 კ. საზოგადოების წევრთ დაურიგდებათ.

⁂ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის გარდაწყვეტილებით, ბანკის წევრთა საზოგადო კრება წელს 20 აპრილიდგან უნდა დაიწყოს,

⁂ კვირას, 21 მარტს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში გაიმართა საგანგებო კრება სამეურნეო-სახელოსნო ახალშენ-თავშესაფარის საზოგადოების წევრთა. საზოგადოებას უნდა აერჩია ახალშენ-თავშესაფარის დირექტორი. საზოგადოების მმართველობამ დირექტორის კანდიდატად წარმოადგინა აგრონომი ვ. ვ. პოტებნია, რომელმაც ქართულიც კარგად იცის. საზოგადოებამ 15 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 7-სა ახალშენ-თავშესაფარის დირექტორად ბ-ნი პოტებნია აირჩია და გადასწყვიტა, ბ-ნ პოტებნიას მიეცეს 600 მანათი და გაგზავნილ იქმნას ქ. სტუდენცსა, კიევისა და ხარკოვის გუბერნიებში, სადაც ადგილობრივ უნდა შეისწავლოს ახალშენ-თავშესაფარების მოწყობის საქმე.

⁂ ამბობენ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მმართველად დანიშნულ იქნება ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ერმოლოვიო.

⁂ ამ უკანასკნელ დროს ტფილისში ქუნთრუშა გავრცელდა, უფრო რკინის გზის სადგურის მახლობლად. 18 მარტს, მაგალითად, დიდუბეში ქუნთრუშით ავად გახდა ვიტკოვსკის 10 წლის ქალი ნატალია. მეორე მალაკნის ქუჩაზედ კიდევ ამავე ავადმყოფობით ავად გახდა ჩაბაროვსკის 6 წლის ქალი, ელენე. იმ სახლებში, სადაც ეს ავადმყოფები აღმოჩნდნენ, დეზინფექცია მოახდინეს.

⁂ ბ-ნ გუბერნატორის ბრძანებით, ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრის უფროსებს გაეგზავნათ თითოს 61 გირვანქა დაწმენდილი კარბოლის სიმჟავე და ათ-ათი გირვანქა სულემა, სოფლების დეზინფექციისთვის.

⁂ გუშინ ტფილისის სამოსამართლო პალატაში ბ-ნ ქავქავაძის თავმჯდომარეობით და წევრთ ბ-ნთ სმიტტენისა და კრამარენკოს თანადასწრებით გაირჩა საქმე თავად გიორგი ორბელიანისა და მის მოურავად ნამყოფის თავად ვასილ მაჩაბლისა თავად ორბელიანის ვექილად ნაფიცი მსაჯული ყარაბეგოვი იყო, ხოლო ბ-ნ მაჩაბლისა — ბ-ნი შევალიე. პალატა თავის გარდაწყვეტილებას ამ საქმის შესახებ აპრილის ხუთს გამოაცხადებს.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის მმართველობას უკვე მოუწვევია პეტერბურგიდგან რამდენიმე ტეხნიკი ბორჯომის რკინის გზის შტოს გასაყვანად. მუშაობას 1 მაისიდგან შეუდგებიან.

⁂ სოფ. ნაფარეული (თელავის მაზრა): დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი ამ ჟამად ნაფარეული, ის წყნარი და მშვიდი სოფელი, სადაც არავის წიწილა არ დაჰკარგვია; რაც არ ბუხარში, გარედ შეშა არავის დასწვია, და ეხლა, თითქმის 1 მარტის დასაწყისიდგან ხალხი მოუსვენრობაშია: ყოველ ღამე გაისმის ეკკლესიის ზარის ხმა. ხალხი ძილგაფთხალი, ვინ უქუდო, ვინ პერანგა, ფეხშიშველა, ჟივილ-ხივილით გარბიან ნიჩბებით, ბარებით ცეცხლის გასაქრობად. პირველ ღამეს დაიწვა სათივე, მერე ყოველ დღე ზედი ზედ ოთხი საბძელი. ბოროტმა დამის რაინდებმა რომლების ოსტატობა იყო ეს საძაგელი საქციელი, საქათმეებს წაუსვეს ხელი, ათს მარტს გაუტეხეს აქაურს დიაკვანს სახლი, საიდგანაც გამოიტანეს ცხენის შეკაზმულობა და ყოველი სახლის ავეჯეულობა; იმავ ღამეს გაუტეხეს სახლი გზირს. აქედგან ეს ბოროტნი რაინდნი გადვიდნენ სოფელს ართანას, რომელიც სამ ვერსის მანძილზედ არის ნაფარეულზედ, დასწვეს იქ ორი საბძელი და ერთი გომური საქონლით სავსე; საქონელი როგორც იყო, გადაარჩინეს, მაგრამ გომური სულ ნაცრად იქცა. აქაური ბოქაული თ. ყარალაშვილი ყოველ ღონისძიებას ხმარობს აღმოაჩინოს დამნაშავენი, დაიბარა დაზარალებულნი პატრონები და მათაც ეჭვი ვერავისზედ მიიტანეს. ნაფარეული სავსეა სხვა-და-სხვა ჯურა ხალხით; ლეკი, თათარი, და მრავალი სხვა უცხო, მოსულნი, რომლებთ ხელობას ვერ გაიგებს კაცი.

⁂ სოფ. გორა (ქუთაისის მაზრა) თვით სახელი „გორა“ გვიხატავს ამ სოფლის ადგილის მდებარეობას. აქ ისეთი ციცაბო გორებია აქა-იქ, რომ მასზედ გადასვლა ცხენსაც-კი უჭირს. თუ წვიმამ ცოტათი მაინც მონამა დედა-მიწა, მაშინ ხომ, რა თქმა უნდა, სახლში უნდა მოვემწყვდეთ.— ისეთი ტალახი ჰფარავს მიწას, რომ გავლა შეუძლებელია. მეზობლისას ვერ გადავდივართ, რაც უნდა საჭირო საქმე გვქონდეს. მღვდელს რომ საზიარებელი ჰყავს ვინმე იქვე მახლობლად, შორს უნდა მოუაროს. წირვა-ლოცვაზედ გასვლა გასაჭირია. ცისკრის ვარსკვლავი რომ ამოვა, მაშინ უნდა ავდგეთ, თუ გვინდა წირვას მივუსწროთ.

თუმცა ამას წინად გზა შევაკეთეთ, ე. ი. მოსაჩვენებლად რამდენიმე მუშა დავაყენეთ, მაგრამ ჩვენი თავიც მოვატყუეთ და მთავრობაც.

გარდა ამისა, დიდად გვაბრკოლებს კიდევ უხიდობა. აქ ერთი პატარა მდინარე ჩამოდის, „ფეხეთა“, არ იქნა და არა, იმაზედ ერთი მაგარი ხიდი ვერ ააგეს. ეს წყალი, როდესაც ჩამდგარია თავის კალაპოტში, მართლაც არაფრად ჩაითვლება, მაგრამ დიდი მომატება-კი იცის. გაადებენ უბრალოდ ბოგირს და წყალი რომ იმატებს, ისიც თან მიაქვს.

⁂ ქუთაისი. ეგრედ წოდებულ „არქიელის გორაზედ“ ქურდობა-კი არ მოისპო, უფრო გახშირდა. წარსულ კვირას ბარე სამი ამისთანა შემთხვევა იყო. თქვენი მტერი, თუ ეხლავე ბოლო არ მოეღო ავ-კაცობას, რა დღე დაგვადგება. ეხლა თუ ინდოურს, ქვაბსა და სიმინდს სჯერდებიან ქურდები, შემდეგ, ვინ იცის, რას მიჰყობენ ხელს.

⁂ სოფ. ლესა (ოზურგეთის მაზრა): 20 თებერვალს აქ ერთი უბედურება დატრიალდა. ქაღალდის თამაშობის დროს რაღაც უსიამოვნება მოუვიდათ აზნ. ჭყონიებსა და გიგინეიშვილებს. ვახშმად, როცა ყმაწვილებმა გადაჰკრეს, უსიამოვნებამ კვლავ თავი იჩინა. უსიამოვნებას ჩხუბი მოჰყვა. ერთმა ჭყონიათაგანმა წამოავლო ხელი მასპინძლის ხანჯალს, რომელიც სტოლზე იდო, და ჩასცა გიგინეიშვილს მუცელში. წელები გადმოსცვინდა დაჭრილს. მკურნალმა მალე მოასწრო, ჩაუწყო წელები და გაუკერა მუცელი, მაგრამ დაჭრილი მაინც გარდაიცვალა 2 მარტს. დამნაშავე თავდებობით გაანთავისუფლეს.

⁂ გურია: წრევანდელ ზამთარს დიდის თოვლით არ შეუწუხებივართ, მაგრამ სამაგიეროდ ქარმა და ძლიერმა ყინვამ საქმე გაგვიჭირა. თებერვლის დამლევს ცოტა გამოიდარა, მარტიც ჩინებულის დარით დაგვიდგა. ვსთქვით, ეს არის ვსძლიეთ ზამთარს, დაგვიდგა გაზაფხულიო. მინდორი ამწვანდა ბალახით, ხეხილები აყვავდა. ცხენები საძოვრად ტყეებში გარეკეს. ხალხი მუშაობას შეუდგა: სახნავ-სათესს წმენდა და ღოშვა დაუწყო. მაგრამ ჩვენში იტყვიან: „მარტი შერეკილიაო“. მართალი ყოფილა: იწყინა მარტმა ესე ყოველივე და ცხრა მარტს ღამით დაიწყო გაუთავებელი წვიმები და თოვლ-ჭყაპი. ისეთი სიცივებია, რომ ზამთარი დაგვავიწყა. 18 მარტსაც დილის 8 საათიდამ ორ საათამდე ითოვა შეუწყვეტლად. ცხრა მარტიდამ მოკიდებული მზე არ დაგვინახავს. ყოველ დღე წვიმები და თოვლია. მუშაობა ვილას ახსოვს, სიცივითა ვკანკალებთ.

⁂ სოფ. ტყიბულა: ზამთარი კვლავ დაგვიბრუნდა; მარტის 9—19-მდე გაცხარებული ჰთოვს და მზე აღარ დაგვინახავს. თოვლი ერთი არშინი და ერთი ჩარექი მოვიდა. მაინც კიდევ ჰთოვს; ასეთი დიდი თოვლი და ყინვები შუაგულ ზამთარშიაც არა ყოფილა. კიდევ კარგი, რომ აქეთ კვირტი არ ჰქონდა ხეხილს გამოღებული, თორემ სულ მოსწვავდა დ გააოხრებდა. მცხოვრებლებს პირუტყვის საკვები გამოელიათ და არ იციან რა ჰქნან. თუ ასეთმა ტაროსმა ცოტა ხანს კიდევ გასტანა, თქვენი მტერი, ამათ დღე დაადგეს, სულ დაეხოცებათ საქონელი სიმშილით.

⁂ ყარსი. 14 მარტს აკურთხეს აქ აქაურის ბატალიონის ეკკლესია. მწირველნი იყვნენ: დეკანოზი დამიან ბორშჩი, მღვდელი ნიკოლოოზ ფინი-

---

ბული წიგნთ-საცავი პირ-ნათლად შეასრულებს თავის დანიშნულებას და ახლო მომავალში გვაგემებს მის ნაყოფს.

ისტორია ამ წიგნთ-საცავის დაარსებისა, ცოტა არ იყოს, გრძელია და არც იმდენად საჭიროა იმის აღწერა. გარნა არ შეიძლება არ ითქვას, რომ ამ კეთილ საქმეში ყველამ, ვისაც-კი ეგრედ წოდებულის „პარტიობის“ ხინჯი არ ედო გულში, რითაც-კი შეეძლო, მონაწილეობა მიიღო. ასე გასინჯეთ, ერთმა გლეხმა (ნიკო ქურიძემ), რომელსაც წიგნი ხელში თავის დღეში არ აუღია და რომელსაც წიგნთ-საცავი სასმელი იყო, თუ საჭმელი, არც-კი იცოდა, რაკი დაარწმუნეს, ქვეყნისთვის სასარგებლო დაწესებულებააო, წიგნთ-საცავისათვის სახლი ოთხის თუმნით ღირებულზე ნაკლებად დასთმო.

აქეთს გარდა, როგორც ნამდვილად ვიცით, წიგნთ-საცავი გვექნება კიდევ ბახვსა და ასკანაში. მაშასადამე, შეიძლება ახლავე ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ახლოა ის დრო, როცა არც ერთი უსკოლო სოფელი უწიგნთ-საცავო აღარ იქნება, რომ სკოლა პატარაებს გაგვიზრდის, ხოლო წიგნთ-საცავი გაზრდილებს გაგვიწვრთნის. ორსავე შემთხვევაში, რასაკვირველია, სიმარჯვე და მხნეობა სოფლის მასწავლებლებმა უნდა გამოიჩინონ და მათთან ერთად ჩვენის საზოგადოების ყველა შეგნებულმა ნაწილმა.

ღმერთმა გაუმარჯვოს და ხელი მოუმართოს ამ ახალს საქმეს!

მეორე სანუგეშო ამბავიც: გასულ წელს ბ-ნმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ოზურგეთი დაათვალიერა და მასთან ერთად მთელ მაზრის მკვიდრთ ყოფა-მდგომარეობა გამოიკითხა, რის შემდეგაც ბრძანა, რომ აუცილებლად საჭიროა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელთან სამეურნეო განყოფილება დაარსდესო. ადვილად წარმოსადგენია თუ რა დიდის სიხარულით და აღტაცებით მივეგებეთ ამ ამბავს. მოუთმენლად მოველოდით მის განხორციელებას და დღეს, მადლობა ღმერთს, მოვესწარით იმ დროს, როცა ამ საქმის გამო დიდი მზადება არის. საგანგებო კრებამ თავად-აზნაურობისამ უკვე გადასწყვიტა, რითაც-კი შეუძლია ამ საქმეს მიეშველოს და მასთან კომისიაც აირჩია, რომელსაც დაავალა გამორკვევა და გამოძიება იმისა, თუ რა პროგრამით და წეს-რიგით დაარსდეს განზრახული სამეურნეო განყოფილება. კომისიაში ბევრი ისეთი მოჰყვა, რომელთათვისაც მეურნეობა სათაყვანო და სატრფიალო საგანია და ამ საგნის ავან-ჩავანიც საფუძვლიანად გაეგებათ; რის გამოც დაიმედებულნი ვართ, რომ ყოველივე კერძოობა ამ საქმისა ეხლავე ნავარაუდევი იქნება და მითმოსალოდნელი დაბრკოლება თავიდამ აგვშორდება.

კარგი იქნება, კომისიამ თავისი აზრი გაზეთის საშუალებით საქვეყნოდ გამოაცხადოს, რათა კერძო კაცებსაც შეეძლოს შესაფერის შენიშვნის მიცემა, რომ უფრო ნათლად და ცხადად გამოირკვეს, რაც გამოსარკვევი და გადასაწყვეტია.

მეურნეობის სწავლება ჩვენს სასწავლებელში პირველი შემთხვევაა და თუ ამ პირველ შემთხვევაში მარცხი და დაბრკოლება მოგვიხდა, რაიცა ღმერთმა ნუ ჰქნას, ხალხს გული გაუტყდება. მერე ხომ მოგეხსენებათ, რომ გურულებისთანა გულ-აჩქარებულის ხალხის გულის მოგებაც ადვილია და გულის გატეხაც.

თავად-აზნაურთა გარდა სამეურნეო განყოფილების დაარსებაში მონაწილეობას იღებს გლეხობაც, რომელსაც ბ-ნმა მაზრის უფროსმა ჩააგონა მნიშვნელობა და საჭიროება სამეურნეო სწავლა-ცოდნისა. წელს პირველად გაიგონა ჩვენმა გლეხობამ ის ღვთისნიერი სიტყვები, რომ ფული გამოიღე, გადასახადი დაიკისრე და ისევ შენს ეკონომიურად განკარგებასა და წინ წაწევას მოხმარდებაო; საქვეყნო და საშვილისშვილო საქმეს დაედება საფუძვლად და შენგან გადახდილი გროში ათად და ასად ქცეული შენვე დაგიბრუნდებაო. კვლავ თუმცა გარდასახადი ბევრი უგემებია ჩვენს გლეხებს, მაგრამ გარდასახადი ყოფილა „ეგზეკუციისა“, „სტრაჟისა“ და სხვა-დასხვა გვარის ჯარიმისა, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, ზარალი-კი ბევრი.

ვუსურვოთ გამარჯვება ამ საწაღმართო საქმეს და ორიოდე სიტყვა სხვა საქმეზედაცა ვსთქვათ შემდეგს ჩვენს წერილში.

დათიკო ვერმიცანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვი და ახლად აშენებულის ეკკლესიის მღვდელი სოლომონ იმერლიშვილი.

წირვა და გალობა ქართულად იყო.

ქართველობა ყარსისა დიდი მადლიერია მამა ს. იმერლიშვილისა, რომლის წყალობითაც ეს მეორედ მოისმინა ქართულად წირვა და გალობა ამ ცოტა ხანში.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ბრეთი. (გორის მაზრა), 17 მარტი. ხოლერაზე ნაკლები ზარალი არ მისცა ჩვენს სოფელს სხვა-და-სხვა სნეულებამ. ზაფხულს აქეთ მუსრს ადენდა ყალათმა, ყივანა-ყველა, წითელა და რაღაც ანგელოზ-ბატონები. წითელამ იანვარში 12 თებერვლამდე 14 ბავშვი იმსხვერპლა. ერთი ბავშვიც არ იქმნება ბრეთში, რომ ამ ზამთარში „ბატონებს“ არ ეწვავედაგა. ყოველ ოჯახს ეწვია „ანგელოზები“ და დღესაც არამც თუ ბავშვები, დაცოლშვილიანებულებიც ლოგინად არიან ჩავარდნილი. საჭიროა, ადმინისტრაციამ ყურადღება მოგვაქციოს, დაგვიხსნას გაჭირვებისაგან, რადგანაც ამ მოარულებმა უფრო დიდად, ორჯელ-სამჯერ მომეტებულად, დააზარალა ბრეთი, ვიდრე მრისხანე ხოლერამ. მხოლოდ ერთი-ორი კაცია სოფელში, ჩვენს სანუგეშოთ; ესენი დაუღალავად დადიან ოჯახიდამ-ოჯახში ამხნევებენ ხალხს და ასწავლიან, — დროა ცრუმორწმუნოებას თავი დაანებოთ და ავადმყოფობის დროს მკურნალებს მიჰმართოთო.

ავადმყოფობას ხელი მოუწყო ამ ცივ ზამთარში უშეშობამ; შეშა ჩვენში ძალიან ძვირი საშოვარია; თითქმის ყოველი ურემი შეშა ადამიანის სისხლად გვიჯდება. ბრეთელებს ფალავანდიანთ ტყიდგან გამოაქვთ შეშა; ამისთვის ჯეროვანი ფასიც შეაქვთ თ. ფალავანდიანთ ტყის კანტორაში. ფული-კი შეგვაქვს და შეშა-კი, ნაწვავ-ნადაგვის ფულით ნაყიდი, ტყიდგან თითქმის უნდა გამოვაპაროთ — ოსები არ დაგვიხვდნენ გზაში და შფოთი არ აგვიტეხონო. ბევრჯელ მომხდარა კეტის ტრიალი ბრეთელებსა და ოსებ შორის (ხიზანი ხალხია). ბევრი ოსისა და ქართველის თავი გატეხილ-გაჩეხილა. რადა? რისთვის? თუ ოსები ტყის მცველები არიან, მაშ რატომ „კანტორის“ ბარათს არ იწყნარებენ. თუ მთა ოსებს ეკუთგნით და არა ფალავანდიანთ, მაშ საფალავანდოდ რაღად ჰკრეფენ ბრეთში ტყის ფულს?

გვშორდება ზამთარი, მაგრამ მარტიც თავისას არ იშლის და მშვენიერ დარის შემდეგ კორიანტელს და თოვლ-გუნდას გვაყრის; ამასაც არაფრად ვაგდებთ იმ იმედით, რომ მაინც მალე დაგვიდგება გაზაფხული, ხალხი წელში გაიშლება, გავა გარედ, ან იშოვის რასმე, ან გაიტანს გასასყიდად შარშანდელ ნაჭირნახულევს, რაც ამ ზამთარს გადარჩა. მაგრამ რა გზით? ამ დროს მდინარეები ადიდდებიან, ვემწყვდევით სამ წყალ შუა: აღმოსავლეთით ლიახვი, სამხრეთით მტკვარი, დასავლეთით ფრონე და ფცის წყალი, ჩრდილოეთით-კი არა გვესაქმება-რა. არც ერთს მდინარეზე არ არის გადებული ხიდი და 40 სოფელზე მეტი რჩება ფეხშეკრული. ერთხელ და ორჯელ არ ყოფილა ლაპარაკი „ივერის“ ნომრებში, — მტკვარზე, ქარელის პირდაპირ, ხიდია საჭირო, რომ 20,000 კაცს გზა გაეხსნას. მაგრამ ვინ გაიგონა?

ორიოდე სიტყვა მოისმინეთ ბრეთის პურის მაღაზიაზედაც. პურის მაღაზია ჩვენში გაივსო და მთავრობამ ბრეთის მოხელეებს ნება მისცა მაღაზიის პურის გაყიდვისა. იანვრის დამლევს ბოქაულმა გამოუცხადა მამასახლისს — თქვენი პური ფუთი 70 კაპ. გაჰყიდეთო. ბრეთელებმა ბევრი უცადეს-უცადეს მყიდველს, თავიანთ ბოქაულის ბრძანებას არ გადავიდნენ და დღე'აც ესე შესცქერიან. თებერვლის გასულს მაღაზიის პურში შეაძლიეს 80 კაპ. ფუთში და კიდეც გაიყიდა, ბეიც ცხრა თუმანი აიღო სოფელმა. ამ ორ შურის წამატებით ბარე ოც-და-ათი თუმანი მეტი ერგება სოფელს და კაი საქმეა. მაგრამ ბეღელი დაბეჭდილია და მყიდველს ვერა წაუღია-რა.

მამა-პიროსელი

◆◆

კათალიკოზნი საქართველოს ეკკლესიისა

(488—1811 წ.) *)

თეოდოსი. (თეოდორე) 1193—1204 წ. სხვა ეპისკოპოსებთან ესეც იმყოფებოდა დედოფალ თამართან ჯარის გასტუმრების დროს როკნედინთან საბრძოლველად 1203 წ. ყარსის მახლობლად. მობრუნებულნი სამცხეში, ოძრხეს ციხეში განატარებდნენ დღე-ღამესა ლოცვითა, მომლოდნენი ომის ამბავისა ბრძოლის ველიდამ. ისტ. ბარათ. IV რვ. 78 გვ. „კაცი წმინდა და სახიერი“.

იოანე. 1204—1209 წ. ებრძოდა სომეხთა სარწმუნოებას და მცდელობდა მათ შემოერთებასა. „კაცი ანგელოსთა სწორი და სულთა საღმრთოთა აღსავსე“ — ქ.-ცხ. 312 გვ.

ნიკოლოზ. 1209—1212 წ. გულაბრის ძე. ბევრჯერ უარი სთქვა კათოლიკოზობაზედ, ჯერ ისევ მიხეილ კათალიკოზის დროს, რომელსაც თამარ დედოფალთან დიდი უსიამოვნება ჰქონდა; მაგრამ ბოლოს მოხუცების ჟამს დასთანხმდა. დიდი მომღვაწე იერუსალიმის მონასტრებში თავმჯდომარეობდა კრებასა 1186 წ. და ამის შუამდგომლობით თამარმა „აღავსნა ეპისკოპოზნი და საყდარნი შესაწირავითა, თავისუფალ ყვნა ეკკლესიანი ხარჯისა და ბეგარისაგან“. ქ.-ცხ. 283 გვ.

არსენი. 1213—1239 წ. ბულშაისის ძე. აღმწერი ოთხ-თთვეულის პროლოგისა (თებერვ., მარტი, აპრ., და მაისისა) პატივად წმიდათა და მათ შორის პატივად შიო მღვიმელისა კანონისაცა. ამის ნებართვით რუსუდან დედოფალს ჰქონდა მიწერ-მოწერა 1225 წლიდან რომის პაპა ჰონორი III-თან — თათრებზე მოგვეშველე და შენი ქვევრდომნი შევიქმნებითო. არსენი კრებით ამხილებდა ლაშა გიორგის უგვანსა ცხოვრებასა და გარყვნილებაში დროს გატარებასა. ვერა გზით ვერ დაითანხმეს ლაშა კანონიერად ექორწინა და ცოლი შეერთო. ქ.-ცხ 342 გვ.

პ. ცხვილოელი

(შემდეგი იქნება)

◆◆

უცხოეთი

საფრანგეთი. პანამის საქმის გარჩევის დროს მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ანტონენ პრუს ვექილმა დემანჟმა. მინისტრად ნამყოფი და ამ ჟამად-კი ვექილი ვალდეკ-რუსსო ამ სიტყვის დროს ტიროდა. როცა პრუ გაამართლეს, სთქვა, რომ იმ 20,000 ფრანკს, რომელიც პანამის საზოგადოებისაგან მივიღე, ეხლავე დავაბრუნებო. გამართლებულ ბრალდებულთ მეგობრები შემოეხვივნენ და ულოცამდნენ. გამართლებულთა შორის მხოლოდ ერთი, ფონტანი, ისევ საპატიმროში უნდა დაბრუნებულიყო; როცა ფონტანმა ლესეპსს შეხედა, ბავშვსავით ქვითინი დაიწყო და მერე თავისს მცველს დიუპუის გადაეხვია. ლესეპსმა თვალებზედ ხელი დაიფარა. ბლონდენმა ორსავე ხელით დაიფარა სახე. მხოლოდ ბაიო უძრავად იდგა, გაშეშებული.

— ჟიულ ფერრის დასაფლავების დროს სხვათა შორის სიტყვა წარმოსთქვა დიუპუიმ. ორატორმა სთქვა: დაინიშნა თუ არა ფერრი საერო განათლების მინისტად, იმ წამსვე შეუდგა სწავლა-განათლების რეფორმას. ფერრის პრინციპი ფრიად მარტივი და ნაყოფიერი იყო. ფერრის სწამდა მეცნიერება და დემოკრატია. ამიტომ მოისურვა, მეცნიერების შემწეობით დემოკრატია გაეძლიერებინა. განსვენებულ ფერრის წყალობით საფრანგეთის უმაღლესი სასწავლებლები მეტად გაუმჯობესდა. უმაღლესს სასწავლებლებში ამ ჟამად ადგილი დაეთმო საეკონომიო მეცნიერებას. სკოლის რეფორმებით ფერრიმ თავის თავს უკვდავი ძეგლი აუგო. რა საჭიროაო, სთქვა ორატორმა, რომ ფერრის ყველა რეფორმები ჩამოვთვალოთ. ფერრის წყალობით საფრანგეთის სკოლას ეხლა სამი ღირსება აქვს: სკოლაში ყველას უფასოდ ასწავლიან; სკოლაში სწავლა ყველასათვის სავალდებულოა; სკოლაში მარტო სასულიერო საგნებს არ ასწავლიან, როგორც უწინ იყო. „მაშასადამე, ფერრის წყალობით სწავლა-განათლება ისეთ საჭიროებად გარდაიქცა, როგორიც არის პური არსებისა; ფერრის წყალობით ყველას შეუძლიან უფასოდ სწავლა-განათლება შეიძინოს; ფერრის წყალობით დაარსებული სკოლები, როგორც მაღალ მთებში, ისე მინდორ-ველშიაც, თვით ჰლაღადებენ, რამდენადა ზრუნავს რესპუბლიკა ხალხის სწავლა-განათლებისთვის».

შეერთებული შტატები. პრეზიდენტმა კლეველენდმა ჯერ-ჯერობით უარი განაცხადა, რომ გავაის კუნძულები შეუერთდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რადგანაც ჯერ კარგად არავინ იცის, გავაის კუნძულების ყველა მცხოვრებთ ჰსურთ ეს შეერთება, თუ არა. ტახტის მემკვიდრე ქალმა, კაიულანის პრინცესამ, რომელიც ამერიკაში მივიდა თავის ბედის შესატყობად, წასვლის დროს შემდეგის პროკლამაციით მიჰმართა ამერიკელებს: „ვიდრე ამ მშვენიერს ქვეყანას გამოვესალმებოდე, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მადლობა ვუძღვნა ამ დიდებულს ერს იმ კეთილ თანაგრძნობის გამო, რომლითაც დამხვდა. ათასის კაცის თანაგრძობა, რომელთაც ხელი ჩამომართვეს, თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვები და წერილები — ყველა ეს მარწმუნებს, რომ რესპუბლიკისთვის მეც უცხო არა ვყოფილვარ'. იყავნ თქვენთან კურთხევა უფლისა, რესპუბლიკის ყველა წევრთაგან დაწყობილი, ვინც „თეთრ სახლში“ ფეხი შესდგა, ვიდრე უსუსურ ბავშვამდე“.

იაპონია. სამინისტროსა და პარლამენტს შორის ბიუჯეტის გამო მომხდარი უთანხმოება მოისპო, რადგანაც საქმეში თვით იაპონიის იმპერატორი ჩაერია და მინისტრებს უბძანა, პარლამენტის უმრავლესობის სურვილი შეწყნარებულ იქმნასო. სამინისტრომ ბიუჯეტი ისე შესცვალა, როგორც პარლამენტსა სურდა და შემდეგ პალატამაც ბიუჯეტი დაამტკიცა.

◆◆

წვრილი ამბავი

ამ დღეებში პარიჟის ერთ მახლობელ სოფელში გარდაიცვალა ას თერთმეტის წლის მოხუცი ქალი, დიუბოსკი. ამ მოხუცის ჩამომავლობა სამას სულს აღემატება თურმე.

— შვეციაში თან და თან ძლიერდება ინფლუენცა. ქ. გეტებორგში ამ ჟამად 162 კაცია ავად.

— გერმანულ ერთს სამეცნიერო ჟურნალში ოგიუსტ ფორელის წერილია დაბეჭდილი ჭიანჭველების შესახებ. ფორელი ამტკიცებს, როდესაც ჭიანჭველას ხიფათი რამ შეემთხვევა, ხმაურობას ასტეხავს ხოლმე (თუმცა ეს ხმა კაცის ყურისათვის ძნელი გასაგონია) და ამ ხმაზედ ჭიანჭველები მიეშველებიანო. თუ ეს მართალია, მაშასადამე ჭიანჭველებს სმენაც და თავიანთებური ენაც ჰქონიათ.

— ამ ცოტა ხანში გარდაიცვალა გრაფინია პლესსი-დე-ბელლიერი, რომელმაც თავისი ქონება, ღირებული 10 მილიონამდე, უანდერძა რომის პაპს. მემკვიდრეებმა საჩივარი შეიტანეს ქ. მონდიდეს სასამართლოში და ითხოვეს ამ ანდერძის გაუქმება. სასამართლომ უარი განუცხადა მომჩივნებს იმ მოსაზრებით, რომ პაპს მთავრობისაგან ნება აქვს საფრანგეთში მემკვიდრეობისაო.

მემკვიდრეებმა საქმე გადაიტანეს ამიენის სასამართლოში. აქ გაუქმებულ იქმნა სასამართლოს გარდაწყვეტილება და ანდერძი უკანონოდ ჩასთვალეს იმ მოსაზრებით, რომ, თუ პაპს ეკუთვნება ზემოხსენებულ მემკვიდრეობას, მაშინ პაპს ნება ექმნება დაისაკუთროს ის მამულებიც, რომლებიც მთავრობამ წაართვა სხვა-და-სხვა სასულიერო დაწესებულებებს, და ამ რიგად პაპი კვლავ მოიხვეჭავს მეფურს უფლებასაო.

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ.

I

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის პატივცემულის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით, გულითადი მადლობა გამოუცხადოთ, ჩემისა და ჩემდამი მინდობილ მრევლის მხრივ პოლკოვნიკს გიორგი კონსტანტინეს ძეს ბ-ნს გვათუას, რომელმაც არა ერთხელ აღმოუჩინა შემწეობა, რწმუნებულს ჩემდამი სენაკის მაზრის, სოფლის იხულის წმინდის ბარბარეს ეკკლესიას და ეხლაც შემოსწირა შემდეგი ნივთები: ზარი, წმიდის ბარბარის ხატი კარგის ხელოვნებისა, დიდი შანდალი, სადღესასწაულო და პარაკლიტონი. სულ 80 მანეთისა.

მღვდელი რომანოზ კალანდარიშვილი.
18 მარტს 1893 წ.
სოფ. იხულა.

II

უმორჩილესად გთხოვთ, გამოაცხადოთ თქვენის გაზეთის «ივერიის» შემწეობით, რომ ჩემდა რწმუნებულ ურბნისის პირველ-მოწამე მთავარ-დიაკონის წმიდა სტეფანეს ტაძრისათვის სხვა-და-სხვა სამკაულის შესაძენად შემოსწირეს ფულად შემდეგ გლეხებმა: ზაქარია სვიანაძემ სამი თუმანი, ნიკოლოზ ბალახაძემ ორი თუმანი, გაბრიელ კასაშვილმა 5 მან. დიმიტრი კვავშილის ქვრივმა სალომემ 5 მან., ანდრია კვარიანთეშვილის ქვრივმა დარიამ 5 მან., ელისაბედ ბერუაშვილის ქვრივმა 14 მან. და კასიდ ბერუაშვილმა 3 მანეთი.

მღვდელი დიმიტრი მეტრეველი.

◆◆

დეპეშა

20 მარტი

პეტერბურგი. გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზედ, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, რომელიც მათ უდიდებულესობას სევასტოპოლში მიჰყვება, და დიდნი მთავრინანი ქსენია და ოლგა ალექსანდრეს ასულნი იალტას მიბრძანდნენ.

ციმბირის რკინის გზისთვის საჭირო მასალის გადასატანად, ინგლისში შეუკვეთეს ორი გემი, ერთი ენისეისა და ენისეისკს შუა ივლის და მეორე ენისეისკსა და კრასნოიარსკს შუა; ორივე გემი 15 ივლისამდე მზად უნდა იყოს.

გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, გამოცემულ იქმნას $4{}^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$-ანი სახელმწიფო მოწმობანი საგლეხო ბანკისა, 100, 500 და 1000 მანეთიანი. მოწმობის პატრონს წელიწადში ორჯელ მიეცემა სარგებელი 2 იანვარს და 1 ივლისს. მოწმობები გაბათილდება ტირაჟით 1 მაისსა და 1 ნოემბერს, ტირაჟები 1 მაისიდგან დაიწყობა.

პარიჟი. ჰფიქრობენ, რომ მელინი ახალს კაბინეტს ასე შეადგენს: მელინი — იუსტიციის მინისტრი, დეველი — მინისტრი გარეგან საქმეთა, პუანკარე — ფინანსთა მინისტრი, დიუპუი — მინისტრი შინაგან საქმეთა, ადმირალი რეინიე — ზღვის მინისტრი. დანარჩენ მინისტრთა გვარები ჯერ არ იციან.

პრეზიდენტმა კარნომ მიიღო დღეს სენატისა და პალატის პრეზიდენტნი და ელაპარაკებოდა, კრიზისი როგორ ავიცილოთო; ვის ჩაბარდება ახალ კაბინეტის შედგენა, ჯერ ნამდვილად არავინ იცის.

ვენა. პრესბურგის ერთს ქარხანაში გამოსცადეს ახლად მოგონილი

---

*) იხ. „ივერია“ № 22.

ფარები. ფარი სულ ერთ მილიმეტრის სისქეა, მაგრამ ვერც ერთ თოფის ტყვიამ ვერ გაუარა თურმე. ფარები გაკეთებულია პრესბურგის ერთის ქარხნის დირექტორის მიერ.

21 მარტი

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა ცნობანი შესახებ 1892 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლისა. 1892 წლის 1 იანვრიდამ 1893 წლის 1 იანვრამდე რუსეთის სახელმწიფოს თვით იმპერიასა და საზღვარ გარედ შემოსვლია: ჩვეულებრივი შემოსავალი 968,537,000 მანათი, არა-ჩვეულებრივი 195,596,000 მანათი, სულ 1,164,133,000 მანათი; 1892 წლის შემოსავალი 81,993,000 მინათით აღემატება ხარჯთ-აღრიცხვით ნავარაუდევს შემოსავალს და 76,943,000 მანათით 1891 წლის ჩვეულებრივს შემოსავალს. 1892 წლის 1 იანვრიდგან 1893 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფოს გასავალი ყოფილა: ჩვეულებრივი 598,466,000 მანათი და არა-ჩვეულებრივი— 150,329,000 მანათი. 1892 წელს სესხების გარდასახდელად დახარჯულა 242,048,000 მანათი. 1892 წლის ჩვეულებრივიგადასახადი 43,990,000 მანათით აღემატება 1891 წლის ჩვეულებრივს გარდასახადს. 1892 წელს არა ჩვეულებრივი გასავალი იყო 1891 წლის არა ჩვეულებრივ გასავალზედ 133,359,000 მანათით მეტი. წინა წლების გასავალი შევსებულ უნდა იქმნას იმ ფულიდგან, რომელიც სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნული და 1892 წლისთვის ნაღდ ფულად იყო.

სახელმწიფო საბჭო ამ მოკლე ხანში გაარჩევს საქმეებს; გარდოწყვეტილ იქმნას, თუ არა, რომ კატორგად ითვლებოდეს მხოლოდ სახალინი და იმიერ-ბაიკალის ოლქი; მოემატოს თუ არა იმ ტრახტინების პატენტებს, სადაც სხვა-და-სხვა თამაშობა და გასართობი იმართება; დაარსდეს თუ არა „ამურის სავაჭრო და სანავოსნო საზოგადოება“.

პეტერბურგის ბირჟა, 19 მარტი.

	მყიდველისა.	გამყიდველისა	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$7^{5}/_{8}$	— ,,	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	— ,,	— ,,	$152^{1}/_{4}$
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	$1,_{06}$	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	$240^{1}/_{2}$
—მეორისა	220	— ,,	— ,,
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	$99^{1}/_{2}$
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	$194^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	102	— ,,
5%	100	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	— ,,	102	— ,,
5%	100	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	$99^{1}/_{2}$	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღლ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—33)

ПЕРСИДСКАЯ
СИРЕНЬ
НАСТОЯЩІЕ
ДУХИ
САМАГО
ВЫСОКАГО
СОРТА
БРОКАРЪ и К°.
НАСТОЯЩАЯ
ПЕРСИДСКАЯ СИРЕНЬ
БРОКАРЪ и К°.
МОСКВА

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

	მან.	კაპ.
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი	„	40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . .	„	20
თხზულებანი ალ. ყაზიბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. .	1	40
იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე	2	50
სამივე ტომი.	7	„
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა	1	80
თხზლებანი ი. დავითაშვილისა	„	80
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
წყალობა, პოემა მისივე .	„	20
სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა.	„	15
ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. .	„	50
სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა .	„	30
ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა	„	50
თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა	1	„
კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე	„	20
პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე .	„	50
საყმაწვილო ამბები მისივე	„	40
ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა.	„	25
რამდენიმე მოთხრობა რაფიასა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.	„	25
სამი ცელქ, საყმაწვილო სურათეიანი წიგნი შ. მღვიმელისაბი . . .	„	20
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა	1	„
ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი.	1	50
ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . .	„	40
ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი	„	55
თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა	„	60
თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ.	„	40
ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა	„	30
ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . .	„	50
ლექსები გრ. ორბელიანისა	„	50
ლექსები ვახტანგ ორბელიანისა	„	20
სურათი შ. რუსთაველისა	„	60
წმ. ნინოს ხატი	„	50
თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი	„	50
საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი	„	45

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახების, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—8) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.

(50—9) აგენტი დ. ქ. თუთაევი

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თვე-და-თვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

საგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—8) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

СЕЗОНЪ 1893 ГОДА.

„ТОВАРИЩЕСТВО ПРОМЫШЛЕННИКОВЪ САРПИНСКЫХЪ ИЗДѢЛІЙ“

золотая медаль сэнъжилль 1892 г. — **сарпинка—платки** — чулочная **пряжа—юбки** сарпинка — сарпинка **рельефъ—чесунча** сарпинка — золотая медаль брюссель 1892 г.

Ручнаго ткачества, собственной выработки. Продажа цѣльн. штуками и аршинами—пересылка во всѣ мѣста Россійской Имперіи и за-границу. Образцы, въ изящномъ „Альбомѣ“, высылаются съ Декабря мѣсяца 1892 г. за 42 коп. почтовыми марками. Переписку просимъ вести *на русскомъ языкѣ*.

Золотая медаль Лондонъ 1892 г. АДРЕСЪ: САРАТОВЪ—Товариществу Сарпинокъ. Золотая медаль Брюссель 1891 г.

СЕЗОНЪ 1893 ГОДА.

მექარხნეები
სავაჭრო სახლი
ბენდერ-სტეფანოვი

ტფილისის განყოფილება სოლოლაკ. ქ. სახ. ალაბაბოვისა.

ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—14)

Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Марта 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.